

ქალები და სიღარიბე საქართველოში

სიღარიბე მრავალმხრივი და სტრუქტურული ფენომენია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს საზოგადოების ყველა სექტორს, მათ შორის: შრომის ბაზარს, ოჯახებს, სოციალური დაცვის სისტემებსა და პოლიტიკურ ცხოვრებას.¹ სიღარიბე განსხვავებულად მოქმედებს კაცებსა და ქალებზე და განსაკუთრებით გავრცელებულია იმ ოჯახებში, რომლებიც ფინანსურად ქალ ოჯახის წევრზე არიან დამოკიდებულნი, ისევე, როგორც საქართველოში მცხოვრებ სხვა მონაცვლად ჯგუფებში.² ეს კი ქალების ეკონომიკური გაძლიერებისთვის ინტერსექციური და კომპლექსური მიდგომების საჭიროებას აჩვენებს.

რა არის სიღარიბე?

ტერმინი **სიღარიბე** ისეთ სიტუაციას აღნიშნავს, როდესაც უთანასწორობა იმდენად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ზოგიერთ ადამიანს, რომ არსებული დანაკლისების გამო იგი საბაზისო სტანდარტების ზღვარს ქვემოთ ექცევა.³ ინდივიდი ან შინამეურნეობა განიხილება ღარიბად, თუ მისი რესურსები დადგენილ მონეტარულ ზღვარზე, მაგალითად, სიღარიბის ზღვარზე, დაბალია. სიღარიბის ზღვარი განისაზღვრება როგორც „შინამეურნეობის მინიმალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი ყველა სახის საქონლისა და მომსახურების მთლიანი ღირებულება“.⁴ ამრიგად, სიღარიბე გადაჯაჭვულია უთანასწორობასთან, მაგრამ მას მხოლოდ არათანაბარი შემოსავალი არ განაპირობებს.⁵ სიღარიბის გასაზომად და მისი კონცეპტუალიზაციისთვის, წმინდად მონეტარული პარამეტრებიდან დაწყებული არამონეტარულით დამთავრებული, სხვადასხვა მიდგომა გაჩნდა, როგორცაა, მაგალითად, შესაძლებლობების სიმწირე და სოციალური გარიყულობა.

რაც შეეხება სიღარიბის განსაზღვრებას გენდერულ ჭრილში, მნიშვნელოვანია, რომ სიღარიბის ფენომენი გავიგოთ როგორც პროცესი და არა - როგორც სიმპტომი.⁶ გენდერული ხედვა, პირველ რიგში, სიღარიბის ისტორიულ, მაკრო-სოციალურ და მიკრო-შინამეურნეობის მაჩვენებლებს ითვალისწინებს.⁷

ამასთან, გენდერული ხედვა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სიღარიბის იმ საზომებს, რომელთა მიხედვითაც შინამეურნეობაში შემავალი ყველა ინდივიდი ცხოვრების ერთნაირ პირობებში იმყოფება და თანაბრად მონაცვლადია შოკის მიმართ, ან თანაბარი უნარი აქვს გაუმკლავდეს წინააღმდეგობებს. და ბოლოს, გენდერული ხედვა ხაზს უსვამს ისეთ საკითხებს, როგორცაა არაფორმალური დასაქმება, ქმედიუნარიანობა, დროით სიღარიბე და სუბიექტური კეთილდღეობა და ამგვარად, დღის წესრიგში აყენებს სიღარიბის მონაცემების „გამოტოვებული განზომილებების“ საკითხს.⁸

როგორ იზომება მონეტარული სიღარიბე?

სიღარიბის ზღვარის გაზომვის მრავალი შესაძლო მეთოდი სიღარიბის შეფასებების ფართო სპექტრს განაპირობებს. ყველაზე გავრცელებული მიდგომის თანახმად, მონეტარული სიღარიბე შემოსავლისა ან მოხმარების მიხედვით განისაზღვრება, რაც, თავის მხრივ, აბსოლუტური სიღარიბისა (ობიექტურად განსაზღვრულ აბსოლუტურ მინიმუმზე ნაკლების ქონა) და ფარდობითი სიღარიბის (სხვებზე ნაკლების ქონა) ზღვრების გათვალისწინებით იზომება.⁹

აბსოლუტური სიღარიბე



საქართველოში აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლები ხარჯების მიხედვით გამოითვლება. სიღარიბის ზღვარი მინიმალური მოთხოვნილებების ღირებულების მეთოდით ფასდება. 2020 წელს აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის წილი 21.3 პროცენტს შეადგენდა, მათგან 20.9 პროცენტი ქალი იყო, ხოლო 21.7 პროცენტი - კაცი.¹⁰ ეს მონაცემი იმაზე მიუთითებს, რომ, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის მიხედვით, ქალებსა და კაცებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ იკვეთება (მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორი 1.2.1).

საქართველოში აბსოლუტური სიღარიბის მეორე საზომი მოსახლეობის ის ნაწილია, რომელიც საერთაშორისო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს. საერთაშორისო სიღარიბის ზღვარი დღეში 1.90 აშშ დოლარს შეადგენს, დოლარის 2011 წლის მსყიდველუნობითი უნარის გათვალისწინებით. 2020 წელს საქართველოში ქალების 4.3 პროცენტი და კაცების 4.2 პროცენტი საერთაშორისო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობდა (მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორი 1.1.1). საერთაშორისო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ქალების წილი წლების განმავლობაში თანმიმდევრულად აღემატებოდა ამ ზღვარს ქვემოთ მცხოვრები კაცების წილს (4.5 პროცენტი 4.4 პროცენტთან შედარებით 2018 წელს, 4.0 პროცენტი 3.5 პროცენტთან შედარებით 2019 წელს).



ტექნოლოგიებსა და გრძელვადიანი მოხმარების ნივთებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა სიღარიბის ერთ-ერთ გამოხატულებად ითვლება. ამ მხრივ მდგრადი განვითარების მიზნები ხაზს უსვამს თანამედროვე მსოფლიოში მობილური ტელეფონის ფლობის კრიტიკულ მნიშვნელობას. საქართველოში კვლევები ადასტურებს, რომ ქალებს ოდნავ უფრო ნაკლებ შემთხვევაში აქვთ მობილური ტელეფონი, ვიდრე კაცებს. 2020 წელს მობილური ტელეფონი ქალების 85.8 პროცენტსა და კაცების 87.4 პროცენტს ჰქონდა (მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორი 5.b.1).

ფარდობითი სიღარიბე

ფარდობითი სიღარიბის ზღვარი საქართველოში გაანგარიშებულია ქვეყანაში მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ. 2020 წელს მედიანური მოხმარების 60 პროცენტზე ქვემოთ მცხოვრებ პირთა წილი 19.7 პროცენტს შეადგენდა. სქესის მიხედვით დაჯგუფებული მონაცემების მიხედვით, 2020 წელს საქართველოში ფარდობითი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ქალების 19.2 პროცენტი და კაცების 20.1 პროცენტი ცხოვრობდა,¹¹ რაც იმას აჩვენებს, რომ ქალებისა და კაცების მდგომარეობა ამ მხრივ მნიშვნელოვნად არ განსხვავდება.



მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორის გამოთვლა ფარდობითი სიღარიბის შემთხვევაში მცირედით განსხვავდება. იგი განისაზღვრება, როგორც მოსახლეობის წილი, რომელიც მედიანური შემოსავლის (ან მოხმარების) 50 პროცენტზე ქვემოთ ცხოვრობს (მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორი 10.2.1).¹² საქართველოში ეს მაჩვენებელი 2020 წელს 13.4 პროცენტს შეადგენდა და

მონაცემები საკმაოდ მსგავსია ქალებისა (13.7 პროცენტი) და კაცების (13.1 პროცენტი) შემთხვევაში.

გენდერული სხვაობა სიღარიბის კუთხით

ქალებისა და კაცების შემთხვევაში სიღარიბის მიზეზები და გამოცდილებები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომა

ქალთა არაპროპორციული დატვირთვა აუნაზღაურებელი საოჯახო საქმიანობით უარყოფითად აისახება სამუშაო ძალაში ქალთა მონაწილეობაზე საქართველოში, სადაც ქალები სამჯერ მეტ დროს ხარჯავენ საოჯახო შრომაზე, ვიდრე კაცები.¹³ ეკონომიკური არააქტიურობა, შესაბამისი სოციალური დაცვის სისტემების არარსებობის პირობებში, არააქტიურ მოსახლეობაში სიღარიბის რისკს ზრდის. როდესაც საქმე ღარიბ ქალებს ეხება, აუნაზღაურებელი შრომა მათ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს, რადგან მათი შემოსავალი განსაზღვრავს, აქვთ თუ არა წვდომა თანამედროვე საყოფაცხოვრებო ტექნიკასთან, რომელიც, თავის მხრივ, ამცირებს აუნაზღაურებელ შრომაზე დახარჯულ დროს. საქართველოში ქალების 70% აღნიშნავს, რომ ჩვეულებრივ ან მუდმივად პასუხისმგებელია ბავშვის მოვლაზე,¹⁴ ხოლო ქალთა 49% უმუშევრობის მიზეზად აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომას ასახელებს.¹⁵ იქიდან გამომდინარე, რომ ქალთა ეკონომიკური არააქტიურობის ძირითად მიზეზად ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები სახელდება, შეიძლება ითქვას, რომ სიღარიბე საქართველოში მნიშვნელოვნად განაპირობებს საბავშვო ბაღში ბავშვების სიარულის ტენდენციებს.¹⁶ პანდემიამ მდგომარეობა მხოლოდ გაართულა, ქალებს უფრო მეტად დააწვა აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომისა და საოჯახო საქმის პასუხისმგებლობების ტვირთი.¹⁷ ამრიგად, სიღარიბე ერთდროულად ქალთა ეკონომიკური არააქტიურობის მიზეზიცაა და შედეგიც.


დაბალი ხელფასები

აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომისა და ეკონომიკური არააქტიურობის გარდა, ქალების სიღარიბის რისკს განაპირობებს მათი დასაქმების ადგილების დაბალი შემოსავლიანობა. მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ყველაზე დაბალ-ანაზღაურებად სამუშაოზე ქალები არიან დასაქმებული. საქართველოში ისინი ყოველთვიურად 34.2 პროცენტით ნაკლებს გამოიმუშავენ, ვიდრე კაცები

(ნედლი გენდერული სახელფასო სხვაობის მონაცემების მიხედვით).¹⁸ ამას გარდა, არასტანდარტული შრომითი პირობებით დასაქმება, როგორცაა ნახევარ განაკვეთზე მუშაობა, ბევრად მაღალია ქალებში.¹⁹ ეს კი, თავის მხრივ, იმას გულისხმობს, რომ მათი ანაზღაურება სრულ განაკვეთზე მომუშავეთა ანაზღაურებაზე დაბალია. ანაზღაურებაში და სამუშაო საათებში ამგვარ გენდერულ განსხვავებას შეუძლია „სამუშაო სიღარიბე“²⁰ (in-work poverty) განაპირობოს.²⁰ ეს ტენდენცია სახელფასო სხვაობაში აისახება. თუ ნედლი სახელფასო სხვაობის საათობრივი და არა ყოველთვიური ანაზღაურების მიხედვით გაანგარიშება ხდება, მაგალითად, 2020 წლის მონაცემებით, ნედლი სახელფასო სხვაობა 34.2 პროცენტისა და 13.4 პროცენტამდე მცირდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქალები 14.7 პროცენტით უფრო ნაკლები საათი მუშაობენ. მაჩვენებლები ქვემოთ მოცემულ გრაფიკშია წარმოდგენილი.

გრაფიკი 1

ნედლი გენდერული სახელფასო სხვაობა ყოველთვიური და საათობრივი ანაზღაურების და ნამუშევარი საათების რაოდენობის მიხედვით



ღირსეული შრომის ნაკლებობა

ღირსეული შრომა ინდივიდუალური კეთილდღეობის ფუნდამენტური ასპექტია. მაგრამ იმის გამო, რომ ქალებს

აუნაზღაურებელ ზრუნვის შრომაზე არაპროპორციულად მეტი დროის დახარჯვა უწევთ, ისინი უფრო მოწყვლადები არიან დროებითი, დაუფასებელი და არასაიმედო სამუშაოს მიმართ, რადგან ერთმანეთს უნდა შეუთავსონ სამსახური და ზრუნვის შრომის პასუხისმგებლობები.²¹ ამგვარად, ქალთა სამუშაო ძალა მასიურად მოკლებულია ღირსეულ სამსახურს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალები დასაქმებული არ არიან ფორმალური ეკონომიკის ფარგლებში, სადაც ოფიციალური სამსახურისთვის დამახასიათებელი სამუშაო საათები და დასვენება, ასევე - სოციალური დაცვა, ეროვნული კანონმდებლობით რეგულირდება. გარდა ამისა, აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომის პასუხისმგებლობები ქალთა არაფორმალური დასაქმების ალბათობას ზრდის, ხოლო შინამეურნეობებში ამ შრომის ქალებთან გადამისამართება, პირიქით, ამცირებს კაცების არაფორმალური დასაქმების ალბათობას.²² საქართველოში დასაქმებულ ქალთა თითქმის ნახევარი თვითდასაქმებულად ან შინამეურნეობაში დამხმარე მუშაკად კლასიფიცირდება.²³ ეს ფაქტი აღსანიშნავია იმიტომ, რომ ხელფასიანი სამსახური და უხელფასო თვითდასაქმება შინამეურნეობის კეთილდღეობაზე განსხვავებულად აისახება. მაშინ, როდესაც ფორმალური დასაქმების სფეროში მუშაობა შინამეურნეობის შემოსავალს ზრდის და სიღარიბის რისკს თითქმის 9 პროცენტით ამცირებს, უხელფასო სამუშაოში ჩართულობა მხოლოდ უმნიშვნელოდ ზრდის შინამეურნეობის შემოსავალს და არ ამცირებს სიღარიბის რისკს.²⁴

შემდგომი საკითხები სიღარიბესა და გენდერზე

▶ საქართველოში იმ ოჯახების სიღარიბის ალბათობა, სადაც ოჯახის მარჩენალი ქალია უფრო მაღალია იმ ოჯახებთან შედარებით, სადაც ოჯახის მარჩენალ კაცია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქალების სიღარიბე მჭიდრო კავშირშია მათ ოჯახურ მდგომარეობასთან. ოჯახებში, სადაც ყველა სრულწლოვანი წევრიც ქალია, 39.3 პროცენტი აბსოლუტურ სიღარიბეში ცხოვრობს, იმ ოჯახებთან შედარებით, სადაც ყველა სრულწლოვანი წევრი კაცია (აბსოლუტურ სიღარიბეში მათი მხოლოდ 19.7 პროცენტი ცხოვრობს).²⁵ მსგავსად ამისა,

1 ნედლი გენდერული სახელფასო სხვაობა აჩვენებს მარტივ განსხვავებას ქალის და კაცის ანაზღაურებას შორის დროის გარკვეულ პერიოდში. ამ სხვაობაში არ არის გათვალისწინებული ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა ქალებისა და მამაკაცების განსხვავებული სამუშაო საათები, განსხვავებები პროფესიულ კვალიფიკაციაში, კორპორატიული სეგრეგაციისა და სხვა. მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ: გაეროს ქალთა ორგანიზაცია 2020ა.


2 სამუშაო სიღარიბე არის კონცეფცია, როდესაც ადამიანი მუშაობს, მაგრამ არ იღებს საკმარის შემოსავალს, რათა სიღარიბის მღვარს მემოთ აიხიოს. მეტი ინფორმაცია ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): <https://www.oecd.org/els/43650040.pdf> (ბოლოს ნანახია 15.01.2022)

განქორწინებული ქალები 10 პროცენტით უფრო მეტი ალბათობით ცხოვრობენ სიღარიბეში, ვიდრე ქორწინებაში მყოფი ქალები.²⁶

- **სიღარიბეს ასევე, მნიშვნელოვანი გრძელვადიანი გავლენა აქვს ბავშვებზე და მისი თაობიდან თაობაზე გადაცემის რისკი არსებობს.** ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, ღარიბი ბავშვები უფრო ხშირად მართოხელა დედების ოჯახებში იზრდებიან.²⁷ ზოგადად, ქვეყნები, რომლებიც მართოხელა დედების სიღარიბის რისკის შემცირებას ახერხებენ, როგორც წესი, წარმატებულად ართმევენ თავს ბავშვიანი ოჯახების დახმარებასაც და პირიქით.²⁸
- **სიღარიბის დონე შინამეურნეობაში ქალთა განათლების დონის ზრდასთან ერთად მცირდება.** მაგალითად, იმ შინამეურნეობების სიღარიბის მაჩვენებელი, სადაც ქალებს უმაღლესი განათლება აქვთ, სხვა ტიპის შინამეურნეობების სიღარიბის მაჩვენებლის დაახლოებით ნახევარია.²⁹ ამის საპირისპიროდ, უმაღლესი განათლების არმქონე ქალები სამჯერ უფრო მაღალი ალბათობით სიღარიბეში ცხოვრობენ, ვიდრე ქალები, ვისაც საუნივერსიტეტო განათლება აქვს მიღებული.³⁰ ზოგადად, ის ოჯახები, რომლებშიც, სულ მცირე, ერთი უმაღლესი განათლების მქონე წევრი მაინც ცხოვრობს, სხვებთან შედარებით 8 პროცენტით უფრო ნაკლებად არიან სიღარიბის რისკის ქვეშ.³¹
- **მთლიანობაში, პენსიები მნიშვნელოვნად ამცირებს სიღარიბის მაჩვენებლებს, განსაკუთრებით საქართველოში მცხოვრებ ხანდაზმული ასაკის ქალებში; თუმცა, მოსალოდნელია, რომ საპენსიო სისტემის ახალმა კომპონენტებმა შეასუსტოს ეს ეფექტი.** მთლიან მოსახლეობასთან შედარებით, ხანდაზმულობის სახელმწიფო პენსია (რომელიც წინასწარ შენატანს არ ითვალისწინებს) შემოსავლის ჩანაცვლების ეფექტური გზა და საშუალებაა დაბალი შემოსავლის მქონე ჯგუფებისთვის.³² მაგალითად, როცა შინამეურნეობის წევრი პენსიაზე გადის, სიღარიბის რისკი 3-4 პროცენტით მცირდება.³³ პენსიით უფრო მეტ სარგებელს იღებენ ის ოჯახები, სადაც მარჩენალი ქალია (და ასეთი ოჯახები ჭარბად არის წარმოდგენილი ღარიბთა შორის), რადგანაც მეტია როგორც ქალი პენსიონერების რიცხვი, ასევე მათი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა.³⁴ უნივერსალური, შენატანის გარეშე პენსიისგან განსხვავებით, საქართველოში 2018 წელს დამტკიცებული ახალი დაგროვებითი საპენსიო სისტემის პირობებში მოსალოდნელია,

რომ გენდერული საპენსიო სხვაობა გაჩნდეს. ახალი დამტკიცებული საპენსიო სისტემის მიხედვით, თანამშრომლები, მთავრობა და დამსაქმებლები თანამშრომლის შემოსავლის ორ პროცენტს გადარიცხავენ მის საპენსიო ანგარიშზე, რომელსაც პროცენტი დაერიცხება. გენდერული სახელფასო სხვაობისა და შრომის ბაზარზე ქალების შედარებით დაბალი მონაწილეობის გათვალისწინებით, ახალი დაგროვებითი საპენსიო სისტემისგან ქალები მნიშვნელოვნად უფრო ნაკლებ სარგებელს მიიღებენ, ვიდრე კაცები.³⁵

გრაფიკი 2
მინის მესაკუთრეები სქესის მიხედვით



- **სიღარიბის რისკის შემცირებასთან ასოცირდება მინის ნაკვეთის შექმნა ან მისი გაფართოება.** თუმცა, საქართველოში ქალები უფრო ნაკლებად ფლობენ მიწას. კერძოდ, მინის 81 პროცენტი კაცების საკუთრებაშია და მხოლოდ 19 პროცენტი ქალების საკუთრებაში.³⁶ კვლევები ადასტურებს, რომ ეს ტენდენცია მხოლოდ მიწას არ შეეხება. ქალები უფრო ნაკლები ალბათობით ფლობენ უძრავ ქონებასა და სხვა ღირებულ ნივთებს, მაგალითად, მანქანებს, და ნაკლებად იღებენ გადანვეტილებას მათი გაყიდვის შესახებ. ქონების ფლობასა და მის შესახებ გადანვეტილებების მიღების კუთხით ყველაზე დიდი გენდერული სხვაობა სოფლებში ფიქსირდება.³⁷
- **ოჯახები, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე წევრი ჰყავთ, უფრო მაღალი ალბათობით სიღარიბეში ცხოვრობენ.** ეს ტენდენცია მართებულია ჯანდაცვის ხარჯების გათვალისწინების გარეშე. მონაცემები აჩვენებს, რომ ოჯახები, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ჰყავთ, მათი შემოსავლის უფრო მეტ წილს ხარჯავენ ჯანმრთელობაზე, ვიდრე საქართველოში მცხოვრები უმდიდრესი ოჯახები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე წევრის გარეშე.³⁸ იქიდან გამომდინარე, რომ ქალებს უფრო მაღალი ალბათობით აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები, ეს საკითხი

ინტერსექციური პერსპექტივით უნდა განვიხილოთ და ქალების სიღარიბის განმაპირობებელ ფაქტორად მივიჩნიოთ.³⁹

ძირითადი დასკვნები

საქართველოში ქალებსა და კაცებს სიღარიბეში ცხოვრების უმეტესად თანაბარი ალბათობა აქვთ. თუმცა, სიღარიბის მიზეზები და შედეგები ქალებისა და კაცების შემთხვევაში არსებითად განსხვავებულია. ქალებს აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომის მძიმე ტვირთის ტარება უწევთ, რაც შრომის ბაზარზე მათი ჩართულობის შესაძლებლობებს ამცირებს. ღირსეული დასაქმების შესაძლებლობების ნაკლებობა ქალების

სიღარიბეში ცხოვრების რისკებს ზრდის. გენდერული სახელფასო სხვაობა კიდევ უფრო ამწვავებს ქალების სიღარიბის მაჩვენებლებს. ყველა ეს ფაქტორი, სხვებთან ერთად, განაპირობებს იმას, რომ მხოლოდ ქალი წევრებისგან შემდგარი ოჯახები ორჯერ უფრო მაღალი ალბათობით სიღარიბეში ცხოვრობენ, ვიდრე მხოლოდ კაცი წევრებისგან შემდგარი ოჯახები და ეს ბავშვებზეც აისახება. კვლევები ადასტურებს, რომ გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკის გატარებით ქალებისთვის განათლებასა და ფინანსურ თუ არაფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მათი სიღარიბის შემცირებასა და განვითარების მაჩვენებლების გაუმჯობესებას გამოიწვევს.

საოლიო

- 1 ლანკერი, პერონსი და სტრატეგაკი, 2015.
- 2 გაეროს ქალთა ორგანიზაცია 2020ბ.
- 3 UNECE 2017.
- 4 იქვე.
- 5 სენი, 1997.
- 6 ECLAC 2004.
- 7 იქვე.
- 8 ალქირე, 2007.
- 9 UNECE 2017.
- 10 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2021ა; 2021ბ.
- 11 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2021გ.
- 12 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2018ბ; 2019ბ; 2020.
- 13 გაეროს ქალთა ორგანიზაცია 2018.
- 14 გაეროს მოსახლეობის ფონდი 2020.
- 15 გაეროს ქალთა ორგანიზაცია 2018.
- 16 გაეროს ბავშვთა ფონდი და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2018.
- 17 გაეროს ქალთა ორგანიზაცია და CRRC 2020.
- 18 გაეროს ქალთა ორგანიზაცია 2021ბ.
- 19 იქვე.

- 20 ლანკერი, პერონსი და სტრატეგაკი, 2015.
- 21 იქვე.
- 22 გაეროს ქალთა ორგანიზაცია 2018.
- 23 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2021ა.
- 24 გაეროს ბავშვთა ფონდი 2019.
- 25 მსოფლიო ბანკი 2021.
- 26 იქვე.
- 27 ლანკერი, პერონსი და სტრატეგაკი, 2015.
- 28 იქვე.
- 29 გაეროს ბავშვთა ფონდი და ACT 2018.
- 30 მსოფლიო ბანკი 2021..
- 31 გაეროს ბავშვთა ფონდი 2019.
- 32 შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია 2016.
- 33 გაეროს ბავშვთა ფონდი 2019.
- 34 გაეროს ქალთა ორგანიზაცია 2020ბ.
- 35 საერთაშორისო შრომის ორგანიზაცია და გაეროს ქალთა ორგანიზაცია 2020.
- 36 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2018ა.
- 37 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2018გ.
- 38 გაეროს ქალთა ორგანიზაცია და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2021.
- 39 იქვე.

წყაროები

Alkire, S. 2007. "The Missing Dimensions of Poverty Data." Oxford Poverty & Human Development Initiative Working Paper. Oxford: University of Oxford.

ECLAC (United Nations Economic Commission for Latin America and the Caribbean). 2004. Understanding Poverty from a Gender Perspective. Santiago: ECLAC Women and Development Unit.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018ა, „გენდერული სტატისტიკა: მუდრეობების სარგებლობაში არსებული მიწის ფართობის განაწილება.“ ხელმისაწვდომია: <http://gender.geostat.ge/gender/index.php?action=Agriculture>.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018ა, „გენდერული სტატისტიკა: მუდრეობების სარგებლობაში არსებული მიწის ფართობის განაწილება.“ ხელმისაწვდომია: <http://gender.geostat.ge/gender/index.php?action=Agriculture>.

_____, 2018ბ. „შინამუდრეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევა.“ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3t2joS0>.

_____, 2018გ. პილოტური კვლევა გენდერულად დიდერენცირებული მონაცემების შეგროვებაზე აქტივების ფლობასა და მუდრეობაზე, თბილისი, ამის განვითარების ბანკი. <http://gender.geostat.ge/gender/img/publicationspdf/EDGE-Report-GEO-Final.pdf#view=fit>.



_____. 2019a. „დაწესებულებების გამოკითხვა 2018-2019.“

_____. 2019b. „შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევა.“ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3t2joS0>.

_____. 2020. „შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევა.“ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3t2joS0>.

_____. 2021a. „დასაქმებული და უმუშევარი მოსახლეობა.“ ხელმისაწვდომია: <http://gender.geostat.ge/gender/index.php?action=Employment%20and%20Unemployment>.

_____. 2021b. „საცხოვრებელი პირობები.“ ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/en/modules/categories/192/living-conditions> (ბოლოს ნანახია 30.11.2021).

_____. 2021გ. ქალები და კაცები საქართველოში. თბილისი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/media/38263/Women-and-Men-in-georgia%2C-2020.pdf>.

ILO (International Labour Organization). 2016. Universal Social Protection: Universal Old-Age Pensions in Georgia. ILO. <https://www.social-protection.org/gimi/ShowResource.action?id=53953>.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) და გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UNWOMAN), 2020, საქართველოში სოციალური დაცვის სისტემის შეფასება. ხელმისაწვდომია: <https://georgia.unwomen.org/en/digital-library/publications/2020/12/assessment-of-the-social-protection-system-in-georgia>.

Lancker, W., D. Perrons and M. Stratigaki. 2015. Main Causes of Female Poverty. Brussels: European Parliament.

Sen, A. 1997. "From Income Inequality to Economic Inequality." Southern Economic Journal 64 (2), pp. 383-401.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN WOMEN), 2020ა. გენდერული სხეულფასო სხვაობა და უთანასწორობა საქართველოს შრომის ბაზარზე. თბილისი: გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ხელმისაწვდომია: <https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2020/03/analysis-of-the-gender-pay-gap-and-gender-inequality-in-the-labor-market-in-georgia> (ბოლოს ნანახია 30.11.2021).

_____. 2021ბ. საქართველოს გენდერული თანასწორობის პროფილი. თბილისი: გაეროს ქალთა ორგანიზაცია.

_____. 2021. გენდერული სხეულფასო სხვაობა საქართველოში: განახლება. მომავალი ანგარიში.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN WOMEN) და კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC), 2020. საქართველოში კოვიდ 19-ით გამოწვეული სიტუაციის სწრაფი გენდერული შეფასება, ხელმისაწვდომია: <https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2020/08/rapid-gender-assessment-of-the-covid-19-situation-in-georgia> (ბოლოს ნანახია 30.11.2021).

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN WOMEN) და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და ბავშვები საქართველოში: მონაცემების მიმოხილვა. თბილისი: გაეროს ქალთა ორგანიზაცია.

UNECE (United Nations Economic Commission for Europe). 2017. Guide on Poverty Measurement. New York and Geneva: UNECE.

გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), 2020. კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება, თბილისი, გაეროს განვითარების პროგრამა და გაეროს მოსახლეობის ფონდი საქართველო. ხელმისაწვდომია: <https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/unfpa-research-geo.pdf> (ბოლოს ნანახია 30.11.2021).

გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), 2019, მიზნობრივი სოციალური დახმარების, ბავშვთა სიღარიბისა და სიღარიბის შემცირებისთვის სოციალური ტრანსფერების ეფექტის სიმულაციის დეტალური ანალიზი. თბილისი, გაეროს ბავშვთა ფონდი. ხელმისაწვდომია: <https://uni.cf/3zrVTmA> (ბოლოს ნანახია 6.01.2022).

გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) და ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფი (ACT), 2018, ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობა საქართველოში: საქართველოს კეთილდღეობის მონიტორინგის გამოკითხვა, მესამე ეტაპი 2017, თბილისი, გაეროს ბავშვთა ფონდი. ხელმისაწვდომია: <https://uni.cf/3ztho8> (ბოლოს ნანახია 6.01.2022).

გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2018. მიქსი საქართველო, მრავალენოვანი კლასტერული კვლევა. ხელმისაწვდომია: https://www.unicef.org/georgia/media/5896/file/Mics_Georgian.pdf.

World Bank. 2021. Country Gender Assessment: Georgia. Washington, DC: World Bank. <https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/35366?locale-attribute=en>.

დოკუმენტი მომზადებულია გაეროს ქალთა ორგანიზაციის რეგიონული პროექტის „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში“ და პროექტის „კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ ფარგლებში, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს, ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.